



სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოცემის 1957 წელიდან

№8 (386) ოქტომბერი, 2025 წელი



ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ საზემო ღონისძიებაზე შეკრებილ პირველსემესტრელებს ცხოვრების ახალ და მნიშვნელოვან ეტაპზე გადასვლა მიულოცეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მიხეილ სარჯველაძემ და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ ზვიად გაბისონიამ. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების მიხედვით 10 ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრელი სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდა.

სტუდენტი, რომელმაც ოქროს მედალზე დაამთავრა ვ.კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლა და წელს ყველაზე მაღალი ქულებით ჩაირიცხა სამედიცინო უნივერსიტეტში, ოლია კილაძე გახლავთ, თსსუ-ის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელი. უნივერსიტეტის რექტორმა მას საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი გადასცა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კი მის შესახებ მომზადებული ვიდეორგოლით მიულოცა სტუდენტობა.

835



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) პრეზიდენტი რიკარდო ლეონ ბორხესი, ყოფილი პრეზიდენტი დევიდ გორდონი და ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) პრეზიდენტი ჰარმ პეტერსი ესტუმრნენ.

833



მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოები დასრულდა. ამ ეტაპზე კლინიკის ტექნიკური აღჭურვა მიმდინარეობს. კლინიკა ვაშლიჯვარში, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარეობს. – მსგავსი მასშტაბის პროექტი მენტალური ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფოსა და თსსუ-ის მხრიდან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ განხორციელებულა, – აცხადებს ირაკლი გამყრელიძე, თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკის აღმასრულებელი დირექტორი.

833

სოხუმის დასაწყისი და

სოხუმის დასაწყისიდან 32 წელი გავიდა. ტრადიციულად, წელსაც, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა პატივი მიაგო აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული თსსუ-ის სტუდენტების: **ვასილ კილაძის, ილია მელაძის, გიორგი მიროტაძის, რევაზ მუმლაძის და ნიკოლოზ ლიბრაძის** ხსოვნას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში, აფხაზეთის ომში დაღუპულ სტუდენტთა მემორიალთან, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, ასევე, დაღუპული გმირების მშობლები შეიკრიბნენ. თსსუ-ის სტუდენტებმა გვირგვინებით შეამკეს მემორიალი.

საზოგადოებას სიტყვით მიმართა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა**, რომელმაც აღნიშნა: „27 სექტემბერი უმძი-

მესი დღეა საქართველოს ისტორიაში. განსაკუთრებით რთულია საუბარი იმაზე, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, ახალგაზრდები, შეენიღნენ ამ ბრძოლას. დარწმუნებული ვარ, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მათი თავგანწირვა უმძევლოდ არ ჩაივლის და საქართველო ისევ იქნება ერთიანი. ჩვენ კი ვალდებული ვართ, პატივი მივავით ამ ადამიანების ხსოვნას“.

შეკრებულს სიტყვით მიმართა აფხაზეთის ომის ვეტერანმა, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა შესახებ წიგნის ავტორმა ზურაბ ლეჟავაძემ; ომში დაღუპული სტუდენტების მშობლებმა მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტს, პროფესორებსა და სტუდენტებს.

AMEE Guide (გზამკვლევი) – საქართველოს გამოცემა

AMEE Guide No. 188 – სათაურით – The purpose and use of objective structured teaching encounters (OSTE) in faculty development programmes – განსაკუთრებული პუბლიკაციაა, რომელიც AMEE-ის ჟურნალში Medical Teacher (იმპაქტ ფაქტორი (IF) 4.4) გამოქვეყნდა.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც AMEE Guide-ში გაზიარებულია საქართველოს, კერძოდ კი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედი AMEE-ის რეგიონული ცენტრის გამოცემა.

გზამკვლევი ეძღვნება აკადემიური განვითარების პროგრამებში OSTE-ის (ობიექტურად სტრუქტურირებული სასწავლო პრაქტიკა) მნიშვნელობას და გამოყენებას.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია 4 ქვეყნის მაგალითი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (საქართველო), სუნ

იატ-სენის უნივერსიტეტის პირველი აფილირებული პოსტიტალი (ჩინეთი); გალფის სამედიცინო უნივერსიტეტი (არაბთა გაერთიანებული საამიროები) და ლივერპულის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი).

პუბლიკაციის ავტორები არიან: პროფესორი **დევიდ ტეილორი** – გალფის სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების და ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელი (არაბთა გაერთიანებული საამიროები). პროფესორი ტეილორი, ასევე გახლავთ თსსუ-ის საპატიო დოქტორი; **სალომე ვორონოვი** – AMEE-ის საქართველოს რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი და თსსუ-ის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; **და-ია იანგი**, AMEE-ს ჩინეთის რეგიონული ცენტრის თანახელმძღვანელი, სუნ იატ-სენის უნივერსიტეტის პირველი აფილირებული პოსტიტალი (ჩინეთი).

საერთაშორისო კონფერენცია „ჩაოანესთაფია - 2025“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილი** და თსსუ-ის დელეგაციის წევრები საშუალო ვიზიტით ბათუმში იმყოფებოდნენ. რიგით მე-8 სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „ჯეოანესთაფია-2025“ – ანესთეზიოლოგია და ინტენსიური თერაპიის საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა.

კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს ანესთეზიოლოგია-რენანიმატოლოგიისა და ტკივილის მართვის აქტუალური საკითხები, თანა-

მედროვე მიდგომები და სახსრები. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით, გაიმართა სესიები და სიმპოზიუმები.

ღონისძიებას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **მიხეილ სარჯველაძე**, აჭარის ჯანდაცვის მინისტრი **ნინო ნიჟარაძე**, სამედიცინო სექტორის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები და სხვა მონაწილე სტუმრები დაესწრნენ.

აპროპოს საერთაშორისო განათლების ასოციაციის (EAIE) 35-ე ყოველწლიური კონფერენცია

შვედეთის ქალაქ გოთენბურგში ჩატარდა ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაციის (EAIE) 35-ე ყოველწლიური კონფერენცია. ღონისძიება უმაღლესი განათლების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მასშტაბური ფორუმი, რომელიც ყოველწლიურად აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებს და მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე ტენდენციების გაცნობას, საერთაშორისო პარტნიორული ქსელის გაფართოებას და განათლების გლობალურ სივრცეში თანამშრომლობის ახალი გზების მოძიებას.

მიმდინარე წელს კონფერენცია მასპინძლობდა 100-ზე მეტი ქვეყნის დელეგაციას. ევროპის ყველაზე მასშტაბურ კონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი წარადგინეს: საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, **ქეთევან ბიბილაშვილმა**; მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, **ინგა კახნიასვილი** და ERASMUS+-ის ინსტიტუციურმა კოორდინატორმა **ნინო კანდელაკმა**.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები შეხვდნენ 21 ქვეყნის 35 უნივერსიტეტის დელეგატებს.

ჩინეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი იუსუფ ილმაზი

თსსუ-ს რიგზე რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტის დელეგაცია ესტუმრა. თურქულ დელეგაციას, რომელსაც რექტორი, პროფესორი **იუსუფ ილმაზი**, ხელმძღვანელობდა, თსსუ-ში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა და ადმინისტრაციის წევრებმა უმასპინძლეს.

ვიზიტის მიზანი უნივერსიტეტებს შორის უკვე არსებული პარტნიორული და ტრადიციული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება იყო. ვიზიტის ფარგლებში თსსუ-მ მიიღო შემოთავაზება ორმხრივი

თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივებზე, მათ შორის, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის მიმართულებით.

რიგზე რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა თსსუ-ში სასწავლებლად, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, თურქი სტუდენტების გამოგზავნის სურვილი გამოთქვა; ამ შეთანხმებას თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა პარტნიორობის გაღრმავებისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

ახალი სასწავლო პერსონალი თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის თანამშრომლობითა და კორეის რესპუბლიკის მხარდაჭერით, თსსუ-ში ინტერპერსონალური კომუნიკაციის ახალი სასწავლო კურსი დაიწყო. ინტერპერსონალური კურსი უკვე ინტეგრირებულია სამედიცინო და საექსპერტო საბაკალავრო პროგრამებში, რომლის ფარგლებში ჯანდაცვის 2000-ზე მეტი პროფესიონალი გადამზადდა ბავშვზე ორიენტირებული კომუნიკაციის მიმართულებით. კონფერენცია გახსნა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა**, რომელმაც მადლობა გადაუხადა გაეროს ბავშვთა ფონდს და რწმენა გამოთქვა თანამშრომლობის გაგრძელების და კიდევ უფრო გაღრმავების შესახებ.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, **იესპერ მოლერმა**, აღნიშნა: „ექიმები აღჭურვილნი უნდა იყვნენ არა მხოლოდ კლინიკური ცოდნით, არამედ პაციენტებთან ურთიერთობისას საჭირო უნარებით; მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციის სწავლების ინსტიტუციონალიზაცია სამედიცინო სისტემის გაუმჯობესების საინდარაო“.

შეხვედრაზე თსსუ-ის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **გივი ჯავახვილმა** წარმოადგინა პრეზენტაცია ინტერპერსონალური კომუნიკაციის ახალი სასწავლო კურსის შესახებ.

ახალი სასწავლო კურსის ფარგლებში შეიქმნა ინტერპერსონალური კომუნიკაციის სამი სტრუქტურირებული კურსი.

კონფერენცია – „აპროპოს უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო კლინიკებს შორის კავშირების გაღრმავება“

ჩვენთვის, ქ. ოლომოუცში, 16-18 ოქტომბერს, ჩატარდა კონფერენცია – „ევროპის უნივერსიტეტებსა და საუნივერსიტეტო კლინიკებს შორის კავშირების გაღრმავება“. კონფერენციაში მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია, თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ირაკლი ნატროშვილის ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრები: პროფესორი, **ირაკლი ნატროშვილი** – სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; **ნინო ცხვედიანი**, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გვირგვინის სახელობის პედაგოგიის საუნივერსიტეტო კლინიკის აღმასრულებელი დირექტორი, ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი და **ირინა კაპუტინა** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი, ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის პრეზიდენტმა,

პროფესორმა **ჰარმ პეტერსმა** მიიწვია. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია თსსუ-ისთვის ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან, საუნივერსიტეტო კლინიკებთან და მათ ხელმძღვანელობასთან პარტნიორობის თვალსაზრისით.

ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაცია (AMSE) დაარსდა 1979 წელს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს სამედიცინო განათლებას და აკადემიური მედიცინის განვითარებას ევროპაში, ასევე, გააძლიეროს თანამშრომლობა სამედიცინო სკოლებს შორის და ხელი შეუწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2018 წლიდან არის ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) წევრი. ამ ორგანიზაციის წევრობა მიუთითებს უნივერსიტეტის შესაბამისობას ევროპულ აკადემიურ სტანდარტებთან და სამედიცინო განათლების მაღალ ხარისხთან. AMSE-ის წევრობა საშუალებას აძლევს თსსუ-ს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროექტში, კონფერენციებში და ტრენინგებში, რაც ხელს უწყობს სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას; AMSE-ის ორგანიზებით ტარდება ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციები.

ბოლონის უნივერსიტეტის დელეგაცია თსსუ-ში

თსსუ-ში საშუალო ვიზიტით იმყოფებოდა ბოლონის უნივერსიტეტის დელეგაცია, რომელსაც ბოლონის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ჯოვანი მოლარი** ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი საერთაშორისო მიმართულებით, პროფესორი, **რაფელა კამპანერი** და პროფესორი **მატეო ვიტუარი**. სტუმრებს თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა და თსსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უმასპინძლეს. შეხვედრა ქართულ-იტალიური განათლების

ცენტრ MINERVA-ს ორგანიზებით შედგა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ბოლონის უნივერსიტეტის რექტორები პარტნიორობაზე შეთანხმდნენ. უფრო კონკრეტულად კი, მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ თანამშრომლობის პირველ ეტაპზე, ERASMUS+-ის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს გაცვლით პროგრამაში ჩართვან, მოგვიანებით კი, განიხილავნ პარტნიორობის გაღრმავების სხვა შესაძლებლობებსაც.

თსსუ-ის დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში, ახლანდსა და ვაშინგტონში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **არჩილ უნილაშვილი** და გვირგვინის სახელობის პედაგოგიის საუნივერსიტეტო კლინიკის აღმასრულებელი დირექტორი, ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნინო ცხვედიანი**, საშუალო ვიზიტით იმყოფებოდნენ აშშ-ის ქალაქებში: ატლანტასა და ვაშინგტონში.

შეხვედრები გაიმართა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილესთან, პროფესორ **გორდონ ჩერჩორდთან**. თსსუ-ის დელეგაციისთვის მოწყობილი არსებობდა ბლანკის სახელობის ატლანტის ბავშვთა საავადმყოფოში, სადაც თსსუ-ის წარმომადგენლები შეხვდნენ სამედიცინო დირექტორს, პროფესორ სტეფანი ჯერნიგანს, ოფთალმოლოგიის პროფესორს რიჩარდ პარეს, ონკოლოგიისა და პედაგოგიის პროფესორს **მერი**

ჯო ლეკოვისს. თსსუ-ის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ქ. ვაშინგტონში აშშ-ის ჯანდაცვის ეროვნული ბიბლიოთეკის წლიურ, დაჯილდოების ცერემონიაში, სადაც დააჯილდოვეს ბიომედიცინის სფეროში მოღვაწე პროფესორალური ადამიანის კეთილდღეობისათვის განუვლი ღვაწლისა და მიღწევებისათვის.

აშშ ვოლტერ რიდის არმიის სამეცნიერო ინსტიტუტმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, აშშ კონგრესის სამეცნიერო ფონდისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის საზეიმო ღონისძიება გამართა ქ. ვაშინგტონის „კონსოსის კლუბში“. ღონისძიების მიზანი იყო დამსწრე საზოგადოების ერთმანეთისთვის წარდგენა და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა. შეხვედრები გაიმართა პოლკოვნიკ ელი ლოზანოსთან, პოლკოვნიკ მეთიუ შერერთან, მთავარ სამეცნიერო მრჩეველთან ლოტე ბიერერე კნუდსენთან, როკველერის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან, სევეტიანა მოისოვთან.

თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, მოლტეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **თინათინ ტყეშელაძემ**, მეიოს (როჩესტერი, მინესოტა, აშშ) კლინიკაში, რიგით მე-3 არადიაგნოზირებული დაავადებების ჰაკათონში მიიღო მონაწილეობა. ჰაკათონი, რომელიც 21-24 სექტემბერს ჩატარდა, ვილჰელმის ფონდის მიერ იყო ორგანიზებული.

ჰაკათონისთვის საორგანიზაციო კომიტეტმა სულ 30 არადიაგნოზირებული პაციენტის შემთხვევა შეარჩია, რომელთა შორის პროფესორ თინათინ ტყეშელაძის მიერ წარდგენილი ქართველი პაციენტის შემთხვევა იყო. პაციენტების სისხლი წინასწარ გაიგზავნა მეიოს კლინიკაში, სადაც მათ, პროექტის ფარგლებში, ჩაუტარდათ უახლესი

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენეტიკური ანალიზი – მთლიანი გენომის სექვენირება და რნ-ის სექვენირება. ჰაკათონის ფარგლებში, დიაგნოზი დაესვა 6 პაციენტს, ხოლო დანარჩენებთან ჩასატარებელია დამატებითი კვლევები საბოლოო დიაგნოზის დასახმელად. დიაგნოზირებულია შორის არის პროფესორ თინათინ ტყეშელაძის მიერ წარდგენილი პაციენტიც, რომელსაც დაუდგინდა უიშვიათესი HNRNPR გენის მუტაცია.

ჰაკათონის დასრულების შემდეგ, მეიოს კლინიკაში გაიმართა იშვიათი დაავადებების სიმპოზიუმი, რომელშიც, ასევე, მონაწილეობდა თსსუ-ის მოლტეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ტყეშელაძე.

თსსუ-ის იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა

თსსუ-ის იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **თინათინ ჩიქოვანმა** მონაწილეობა მიიღო იტალიის ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის საზოგადოების (SIAIC) მიერ ორგანიზებულ XXVII ეროვნულ კონგრესში – „SIAIC ხედვა ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციას (WAO)“.

ღონისძიება 3-5 ოქტომბერს მილანში ჩატარდა. სიმპოზიუმზე – „კლინიკუ-

რი იმუნოლოგიის ახალი პერსპექტივები“ – პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა წარადგინა მოხსენება – „ვიპოს აბლაცია in situ ვაკცინაციის მეთოდი“. ასევე, თსსუ-ის პროფესორმა მონაწილეობა მიიღო WAO-ს აღმასრულებელი კომიტეტისა და დირექტორთა საბჭოს საშუალო შეხვედრაში.

კონგრესის მუშაობისას თინათინ ჩიქოვანი იყო სიმპოზიუმის – „წამლისმიერი ალერგიის გამონეგები“ – თავმჯდომარე.

მენტალური ჯანმრთელობის სიახლე – ქაღიან მადე ახალი კლინიკა გაიხსნება



მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოები დასრულდა. ამ ეტაპზე კლინიკის ტექნიკური აღჭურვა მიმდინარეობს.

კლინიკა ვაშლიჯვარში, სარაჯივილის ქუჩა N17-ში მდებარეობს.

კლინიკის ძირითადი სტაციონარი გათვლილია 103 საწოლზე, 3 ძირითადი სტაციონარული განყოფილებით:

- ✓ მწვავე ფსიქიატრიული სტაციონარი;
- ✓ დუალური ნოზოლოგიის განყოფილება;
- ✓ ნარკოლოგიური დეტოქსიკაციის განყოფილება.
- ✓ კლინიკას ასევე ექნება სარეაბილიტაციო განყოფილება (30 საწოლი).

მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა გათვალისწინებულია ამბულატორიული, გახანგრძლივებული ამბულატორიული (დღის ცენტრი), დამხმარე სარეაბილიტაციო (დღის ცენტრში-სტაციონარის შიდა) და ხანმოკლე დაყოვნების სტაციონარული სერვისის მიწოდება, ფსიქიკური და ქცევითი აშლილობებისა და დამოკიდებულების მართვის და მკურნალობის

ყველა პროფილით.

კლინიკაში დასაქმდება 100-ზე მეტი სპეციალისტი.

მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსდება თსსუ-ის ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტი. გათვალისწინებულია სასწავლო აუდიტორიები, სალექციო დარბაზი და შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურის მოწყობა. სასწავლო ინფრასტრუქტურა გათვლილია ერთდროულად 150-ზე მეტი სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად.

ტექნიკური მახასიათებლები:

- ✓ მიწის ფართი 3383 კვ.მ-ია
- ✓ შენობის საერთო ფართობი არანაკლებ 6000 კვ.მ-ია.
- ✓ სარეკრეაციო სივრცისთვის გამოყოფილია 300 კვ.მ.
- ✓ პროექტის მიხედვით, კლინიკას ექნება 20 ავტომობილზე გათვლილი პარკინგი.

მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა პაციენტების მიღებას 2026 წლის დასაწყისში დაიწყებს.



– მსგავსი მასშტაბის პროექტი მენტალური ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფოსა და თსსუ-ის მხრიდან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ განხორციელებულა, – აცხადებს **ირაკლი გამყრელიძე**, თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკის აღმასრულებელი დირექტორი.

მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსდება თსსუ-ის ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტი. სასწავლო ინფრასტრუქტურა გათვლილია ერთდროულად 150-ზე მეტი სტუდენტისთვის სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად.

კლინიკის ძირითადი სტაციონარი განლაგდება 103 საწოლზე, სამი ძირითადი სტაციონარული განყოფილებით: მწვავე ფსიქიატრიული სტაციონარი, დუალური ნოზოლოგიის განყოფილება, ნარკოლოგიური დეტოქსიკაციის განყოფილება.

კლინიკას ასევე ექნება 30 საწოლზე განთავსებული სარეაბილიტაციო განყოფილება.


აღნიშნულ საუნივერსიტეტო კლინიკაში გათვალისწინებულია ამბულატორიული, გახანგრძლივებული ამბულატორიული (დღის ცენტრი), დამხმარე სარეაბილიტაციო და ხანმოკლე დაყოვნების სტაციონარული სერვისის მიწოდება ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების და დამოკიდებულების მართვის და მკურნალობის ყველა პროფილით.

კლინიკის მშენებლობისას და აღჭურვის პროცესში გათვალისწინებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები ისე საერთაშორისო რეკომენდაციები მსგავსი ტიპის დაწესებულებებისათვის პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. შექმნილია შესაბამისი კონფორტული და უსაფრთხო გარემო პერსონალისა და პაციენტებისათვის.

ბატონი ირაკლი გამყრელიძის აღნიშვნით, საქართველოში, ისევე, როგორც

დანარჩენ მსოფლიოში, არის მენტალური პრობლემების მზარდი ტენდენცია. სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს უჩნდება საჭიროება მენტალური ჯანმრთელობის მართვაში სპეციალისტების ჩართვისა. სამწუხაროდ, საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძლიერია სტიგმა მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ. პრევენცია ამ შემთხვევაში გულისხმობს მენტალური ჯანმრთელობის შესახებ განათლებას, იმისთვის, რომ ადამიანებმა დროულად მოახდინონ იდენტიფიცირება მათი პრობლემებისა, დაძლიონ სტიგმა და პქონდეთ შესაძლებლობა და მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის რა მდგომარეობაში უნდა მიმართონ.

თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა წარმოადგენს სრულყოფილ ბაზას, როგორც დიპლომადელი, ისე დიპლომისშემდგომი განათლებისთვის, როგორც ფსიქიატრიის, ასევე, ნარკოლოგიის მიმართულებით.



WFME-ისა და AMSE-ს დაჯილდოება თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) პრეზიდენტი რიკარდო ლეონ ბორხესი, ყოფილი პრეზიდენტი დევიდ გორდონი და ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) პრეზიდენტი ჰარმ პეტერსი ესტუმრნენ.

თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა**, კანცლერმა **ალექსანდრე ბუაჩიძემ** და ვიცე-რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, სტუმრებს უნივერსიტეტის საქმიანობა და სტრუქტურა გააცნეს. კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის საქმიანობაზე საერთაშორისო დელეგაციას ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ირმა მანჯავიძემ**, მიაწოდა ინფორმაცია და ისაუბრა ცენტრის მნიშვნელობაზე, ისტორიასა და სწავლების ტექნიკებზე.

უცხოელი სტუმრები დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას გაეცნენ, რომელიც ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა და დღემდე ფუნქციონირებს თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე. სტუმრებთან შეხვედრაზე პროგრამის ხელმძღვანელმა, **ეკა ეკალაძემ**, სწავლების ინოვაციურ და ინტეგრირებულ სისტემაზე გაამახვილა ყურადღება.

ვიზიტის დასასრულს გაიმართა გაფართოებული შეხვედრა, რომელშიც, უცხოელ სტუმრებთან ერთად, მონაწილეობდნენ: თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილი**, კანცლერი **ალექსანდრე ბუაჩიძე**, ვიცე-რექტორები: პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, პროფესორი **რუსუდან რუხაძე**, პროფესორი **სოფიო ბახტაძე**, ასევე, რექტორის აპარატის უფროსი, ასოცირებული პროფესორი **ირინა კაპუტივაძე**, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **ეკა ეკალაძე**, თსსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის



უფროსი, პროფესორი **არჩილ უნდილაშვილი** და აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე **სალომე ვორონოვი**. შეხვედრაზე რექტორის აპარატის უფროსმა, ირინა კაპუტივაძემ, სტუმრებს პრეზენტაციის ფორმატში გააცნო უნივერსიტეტის ისტორია, ძირითადი მიმართულებები და მიმდინარე პროგრამები. ასევე, თსსუ-ის წარმომადგენლებმა უცხოელ დელეგატებს უნივერსიტეტის სამომავლო გეგმები და მიზნები გაუზიარეს.



ჩაიხიბებით პირველი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ეუფლება ექიმის პროფესიას. როგორც ყოველ წელს, ამჯერადაც მათ რიცხვს ახალბედები შეუერთდნენ, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს საგამოცდო ბარიერი და სტუდენტები გახდნენ. ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ საზემო ღონისძიებაზე შეკრებილ პირველსემესტრელებს ცხოვრების ახალ და მნიშვნელოვან ეტაპზე გადასვლა მიულოცეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მიხეილ სარჯველაძემ და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ ზვიად გაბისონიამ. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების მიხედვით 10 ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრელი სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდა. სტუდენტი, რომელმაც ოქროს მედალზე დაამთავრა ეკომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლა და წელს ყველაზე მაღალი ქულებით ჩაირიცხა სამედიცინო უნივერსიტეტში, ოლია კილაძე გახლავთ, თსუ-ის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელი. უნივერსიტეტის რექტორმა მას საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი გადასცა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კი მის შესახებ მომზადებული ვიდეორგოლით მიულოცა სტუდენტობა. ჩვენ შეხვდით და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ოლია კილაძეს, რომელიც სიტყვაძვირი, თუმცა სასიამოვნო რესპონდენტი აღმოჩნდა...



ყველაფერი ადრეული ასაკიდან იწყება... გვიამბოთ თქვენს ბავშვობაზე...

ბავშვობა განსაკუთრებული არაფრით ყოფილა... ვსწავლობდი მე-11 საჯარო სკოლაში, ექვსი კლასის დამთავრების შემდეგ, მათემატიკის სიყვარულის გამო, კომაროვის სკოლაში (სსიპ - ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლა) გავაგრძელე სწავლა, სადაც მომწონდა გარემოც, მასწავლებლებიც, ახალმეცნიერი მეგობრებიც, - მოკლედ, არაჩვეულებრივი პირობები იყო და მეც მაქსიმალურად ორიენტირებული ვიყავი სწავლასა და განვითარებაზე...

ექიმობის სურვილი როდის მოვიდა - ჯერ კიდევ ბავშვობაში?

რომ გითხრათ - ბავშვობიდანვე ექიმობაზე ვოცნებობდი-მეთქი, - ასე არ იყო. არც ოჯახის რომელიმე წევრი იყო ექიმი, რომ ეს გამხდარიყო ერთგვარი ბიძგი ამ პროფესიისკენ. უფრო მოგვიანებით, დამამთავრებელ კლასში სწავლის დროს გავაკეთე ეს არჩევანი, რაც, უპირველესად, განპირობება იმან, რომ საქართველოს პრეზიდენტის პროფესიად მივიჩნეე ექიმობას; ვფიქრობ, მედიცინა ინოვაციური სფეროა იმის გათვალისწინებით, რომ სიახლეები და აღმოჩენები მუდმივად ახლავს, მოიცავს ადამიანთა ინტერაქციას - მუდმივად ურთიერთობ, ეძიებ, სწავლობ, კარიერული წინსვლისთვის შრომობ... გარდა ამისა, ამ პროფესიის საფუძველშივე დევს პედაგოგობა, ადამიანისადმი თანაგრძნობის და დახმარების სურვილი და ყველაზე მთავარზე - მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ზრუნვა, რაც, დამეთანხმებით, მნიშვნელოვანია.

პიროვნულ განვითარებასა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე რომ ვისაუბროთ, ამ თვალსაზრისით დედაჩემის როლი გამოკვეთილია. ყოველთვის ვითვალისწინებ მის რჩევას - ამ რჩევის მიხედვით ვიხელმძღვანელებ, მაგალითად, როცა კომაროვის სკოლაში ჩავაბარე, სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის პირველწილის შესახებ თავად მივიღე გადაწყვეტილება, თუმცა დიდი იყო დედის და ოჯახის წევრების თანადგომა.

საქართველოში რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელია სამედიცინო განათლების მიღების მსურველთათვის. რატომ აირჩიეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი?

გასულ წელს რამდენიმე დღე გავატარე ინოვაციების და ტექნოლოგიების საზაფხულო ბანაკში, სადაც მოსწავლეები ტექნოლოგიებსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან დაკავშირებულ საკითხებს გავეცანით, რაც მნიშვნელოვანი იყო პროფესიის არჩევის თვალსაზრისითაც. იქ გავიცანი გოგონა, რომელიც თსუ-ის ამერიკული პროგრამის სტუდენტი გახლდათ და სწორედ მან მომანოდა ამ პროგრამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. ცხადია, მნიშვნელოვანი იყო ის, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდი ტრადიციების ქონებ პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია, სადაც მაღალი ხარისხის სამედიცინო განათლების მიღება შესაძლებელია.

როგორ გაიხსენებთ გზას აბიტურიენტობიდან სტუდენტობამდე? გქონდათ ასეთი შედეგის მოლოდინი?

როგორც ყველა აბიტურიენტისთვის, რთული და ცოტა დაძაბული პერიოდი იყო. მისაღებ გამოცდებზე ტექნიკურ საგნებში, ფაქტობრივად, სკოლაში მიღებული ცოდნით ვავედი, მხოლოდ ბიოლოგიაში ვმეცადინეობდი დამატებით. ინგლისურსა და მათემატიკაში - მაღალი ქულები მივიღე და 100%-იანი დაფინანსებით ჩავირიცხე. რაც შეეხება მოლოდინს, შეიძლება თქვას, რომ არ ველოდი, რადგან, ზოგადად, ნაადრევი დასკვნების გამოტანა არ მიყვარს. ცხადია, ძალიან სასიხარულო და სასიამოვნო განცდა იყო ეს წარმატება.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასებებისთვის ჯერ ადრეა, რა შეგიძლიათ თქვათ: როგორ მოგწონთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი?

- სულ რამდენიმე დღეა სტუდენტი ვარ და, ბუნებრივია, ჯერ ადრეა შთაბეჭდილებებზე საუბარი, თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, პირველივე დღე დადებითი ემოციებით დამტკივრდა. იმედი, რომ სტუდენტობის წლები ერთ-ერთი საუკეთესო და დასამახსოვრებელი იქნება ჩემს ცხოვრებაში.

მედიცინის მიღმა თქვენს ინტერესებზე რას გვეტყვი?

- დღემდე ჩემთვის ყველაზე საინტერესოდ რჩება მათემატიკა, მასზე მეტყობა; ერთგვარი აზარტია - რთული ამოცანების ამოხსნა... ძალიან მიყვარს ლიტერატურა, ამჟამად ჩემი საყვარელი მწერალი ფიოდორ დოსტოვესკია. მიყვარს, ასევე, კინო და თავისუფალ დროს, კითხვასთან ერთად, ფილმების ყურებასაც ვუთმობ.

მიზანდასახული ადამიანები ხშირად წინასწარდაგეგმილი დღის რეჟიმით ცხოვრობენ; როგორ ფიქრობთ: ეს გადამწყვეტია წარმატებისთვის?

- მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ ქაოტური აბიტურიენტობის პერიოდი მქონდა და არც ახლა ვცხოვრობ წინასწარდაგეგმილი დღის რეჟიმით. პრინციპში, ორივე რეჟიმს ვევალები, თუმცა ვაღიარებ, რომ როცა დაგეგმილი რეჟიმით ცხოვრობ, წარმატების მიღწევა ბევრად ადვილია, ამიტომ ვცდილობ მივყვე რუტინას, თუმცა - არა ყოველთვის.

არის რომელიმე დარგი მედიცინაში, რომლითაც მეტად ინტერესდებით?

- ჯერ არ ვიცი და ვფიქრობ, ადრეცაა დაგეგმა, მედიცინის რომელ დარგს ვემსახურები... იმდენად მრავლისმომცველია მედიცინა, მისი კლინიკური დისციპლინები, რომ ჯერ კარგად უნდა გაეცნო და გაერკვე, რომ შემდეგ ამის გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე პედაგოგობა მინტერესებს, მო-

მავალში, შესაძლოა, სხვა რომელიმე დარგით დაინტერესდე; მოკლედ, ჯერ ადრეა...

რას მიიჩნევთ ჯანდაცვის სისტემის განვითარების აუცილებელ წინაპირობად ჩვენს ქვეყანაში და როგორ ხედავთ ახალი თაობის, გენბავთ, საკუთარ, როლს ამ განვითარებაში?

- ვფიქრობ, ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, დიპლომატიკით ერთად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დიპლომის შემდგომ განათლებას, მნიშვნელოვანია სარეზიდენტო პროგრამებზე ადგილების რაოდენობის გაზრდაც, სტუდენტთა დასაქმებაც და მეტი ნიჭიერი სტუდენტის დაფინანსებაც საზღვარგარეთ მათი პროფესიული დახელოვნების მიზნით, რომ მომავალში მეტი კვალიფიკირებული ექიმი ემსახუროს ჩვენს ქვეყანას, რადგან საქართველოში (და მთელ მსოფლიოშიც) ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნა მზარდია.

მედიცინაშიც და ნებისმიერ დარგშიც განვითარების საწინდარი პროფესიონალიზმია; ვფიქრობ, ყველას, მათ შორის, მეც, მაქვს ოცნება, რომ პროფესიაში ერთ-ერთი საუკეთესო ვიყო, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოსაც, სადაც საქმიანობ, ასევე, სამეგობროს... ვეცდები, საინტერესო ადამიანების, პროფესიონალების, გარემოცვაში მომიხდეს საქმიანობა... როცა გარემოზე ვსაუბრობ, ყოველთვის ვიხსენებ ჩემს საყვარელ კომაროვის სკოლას, რომელიც, ფაქტობრივად, ჩემი მეორე სახლი იყო და დღემდე მომეყვება ნოსტალგია ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ უბედნიერეს ხანაზე...

დარწმუნებული ვარ, სამედიცინო უნივერსიტეტიც გახდება თქვენი მეორე სახლი, სტუდენტობის წლები - ყველაზე შთაბეჭდილები და დასამახსოვრებელი პერიოდი, საუნივერსიტეტო გარემო და აქ შექმნილი პირობები კი საწინდარი პროფესიული წინსვლისა და წარმატებისთვის...

- დიახ, მჯერა, რომ ასე იქნება... რაც შეეხება პროფესიულ წარმატებას,



ბას, ვიცი, რომ გრძელი და რთული გზაა გასავლელი ექიმობამდე, თუმცა, ვფიქრობ, რომ ყველა პროფესიის დაუფლებას სჭირდება შრომა, შესაძლოა, - ექიმად დახელოვნებას ცოტა უფრო მეტი, მაგრამ როცა გაქვს მიზანი და სურვილი, ყველაფრის დაძლევა შესაძლებელია - შრომა და მიზანდასახულობა განაპირობებს წარმატებას, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე, ზოგადად, ცხოვრებაში.

დასაუბრა ნატო პოლძაძე

თსუ-ის პროფესორმა მარკოპოში სამედიცინო უნივერსიტეტის, მოსამართლეებისა და პროკურორების შინაინიჩი რაბათი

სულ ახლახან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რუსუდან ბერიანაშვილმა, ყვენი უსაფრთხოების სექტორის მმართველობის ცენტრის მოწვევით, მარკოპოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტთათვის, ასევე, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის, სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით, ტრენინგის ტრენინგი ჩაატარა. შეხვედრაზე განიხილეს მარკოპოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევები და ამ მიმართულებით მიღებული წარმატებები.

პროფესორი რუსუდან ბერიანაშვილი არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის - „ექიმები ადამიანის უფლებებისთვის“, „პროფესორთა რუსუდან ბერიანაშვილი“, „ყვენი უსაფრთხოების“ და ა.შ. ექსპერტი გახლავთ; აღსანიშნავია, რომ სტამბოლის პროტოკოლის განახლებულ ვარიანტში შეტანილია ახალი თავი პროფესორ რუსუდან ბერიანაშვილის რედაქტორებით, სადაც მოცემულია რეკომენდაციები თუ რა მიმართულებით აქვთ ქვეყნებს ჩასატარებელი საშუაობი, გამოძინარე იმ გამოცდილებიდან, რაც ქართველ სპეციალისტებს ამ თვალსაზრისით დაუგროვდათ.

ქალბატონ რუსუდანთან ჩვენი საუბრისას გამოიკვეთა წლების განმავლობაში მის მიერ ჩატარებული საშუაობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა - თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის აუცილებლობა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც აცნობიერებენ განვითარების აუცილებლობას ამ მიმართულებით.

პროფესორი რუსუდან ბერიანაშვილი: სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენ გვექონდა საშუალება, ჩვერთულიყავით საერთაშორისო პროექტში, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტში ჯერ კიდევ 2003 წლიდან დაიწყო, ესაა ე.წ. სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის პროექტი, ანუ საერთაშორისო დოკუმენტი - გაეროს სახელმძღვანელო წამების, მათ შორის, - სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების დოკუმენტაციისა და ეფექტური გამოძიების შესახებ, როგორც ორისტიებისთვის - გამოძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის, ასევე ექიმებისთვის, მათ შორის, სასამართლო ექიმებისთვის, დაზიანებების დოკუმენტაციის, შეფასებისა და, შესაბამისად, შემდგომი გამოძიების ეფექტურად წარსამართავად.

2000-იანი წლებიდან საქართველო გახლდათ ერთ-ერთი პირველი იმ ქვეყანათაგან, სადაც წარმატებით დაიწყო აღნიშნული პროექტის დანერგვა. ასე, რომ მსგავსი შემთხვევების დოკუმენტაციის, როგორც საერთაშორისო, ისე არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციების მიერ, ხდებოდა უკვე ახალი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი მომზადება ამ მიმართულებით, 2004 წლიდან გაიარა როგორც ჩვენი დეპარტამენტის, ასევე, სასამართლო სამედიცინო ექსპერტთა მთლიანმა შემადგენლობამ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ასე, რომ დღეს თსუ-ის სასამართლო პროგრამები შეიცავს სტამბოლის პროტოკოლის სტანდარტებს. მალევე, სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის ფარგლებში, საქართველომ, სხვა ქვეყნებსაც მიელოთ მსგავსი ინფორმაცია და განვითარება ამ მიმართულებით. სწორედ ამის შედეგად გავხდი საერთაშორისო ექსპერტი ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში სტამბოლის პროტოკოლის სამედიცინო დოკუმენტაციის თვალსაზრისით. პირველი ქვეყანა, სადაც აღნიშნული პროექტი ჩემი ხელმძღვანელობით განხორციელდა, იყო ეგვიპტე; იქ 2007-2011 წლებში გახლდათ და ვამზადებდი სპეციალისტებს, ვისაც ქვეყანაში პოტენციურად მოუხდებოდა მსგავსი შემთხვევების დოკუმენტაცია და გამოძიება, რომელთა შორის იყვნენ, როგორც სასამართლო ექსპერტები, ასევე, პროკურორები, მოსამართლეები, გამოძიებლები, ადვოკატები. საყურადღებოა, რომ აღნიშნული სწავლებანი მიმდინარეობს იმ ქვეყნებში, სადაც სპეციალისტებს აქვს ადგილი და სახელისუფლებო ორგანოებსაც აქვთ მზაობა ამ სტანდარტების დანერგვის მიმართულებით. ეს მეთოდოლოგია, ანუ სამედიცინო თვალსაზრისით, - გაიდ-ლაინი, საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტურად წარმართოს გამოძიება ნამდვილი დამნაშავეების რეალურად გამოსავლენად. სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტის რანგში, ამ ტიპის პროექტებში აღნიშნული გაიდლაინების დანერგვისთვის - ლექციების წასაკითხად და ტრენინგების ჩასატარებლად, როგორც გაეროს ხაზით, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის მიწვევით, მინეცს მუშაობა; კერძოდ, წლების მანძილზე, რეგულარულად ვმუშაობდი შუა აზიაში, ასევე, უკრაინასა და სომხეთში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში - იორდანიაში, სირიასა და ერაყში, თურქეთში... ჩრდილოეთ აფრიკაში, კერძოდ, მარკოპოში, კი, სულ ახლახან, იქაური საამართლადმცავი ორგანოების მიწვევით და საგარეო სამინისტროს ოფიციალური წერილით, სპეციალისტებისთვის ლექციები წავიკითხე და ჩავატარე ტრენინგები. ვიზიტის ფარგლებში, დაიგეგმა ამ მიმართულებით სამომავლო საშუაობების ძირითადი მიმართულებები და შემუშავდა სამოქმედო გეგმა.

აღვნიშნავ იმასაც, რომ სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის რეკომენდაციების განახლებულ ვარიანტში შეტანილია ახალი თავი ჩემი რედაქტორებით, სადაც თავი მოუყვარე ჩემი და ჩემი კოლეგების გამოცდილებას ამ მიმართულებით. ამჟამად ყველა ქვეყანაში გადანიშნულია კონსულტაციას, თუ რა მიმართულებით ვხედავთ ამ სტანდარტის დანერგვის უფრო მეტ ეფექტურობას და ა.შ.

იმედი მაქვს, ჩემი და ჩემი კოლეგების გამოცდილება გარკვეულ როლს შეასრულებს იმ ქვეყნების წინსვლასა და სამართლდაცვის სისტემების განვითარებაში, სადაც სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის პროექტებში ვმონაწილეობ ჩემი ქვეყნისა და ჩემი უნივერსიტეტის სახელით.

მოსამართლე დარეჯან კოლძაძე



ეპიდემიები ქართვად ბედიკოსთა საფეხებზე იხსნებიან

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (1992 წლამდე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის) სტუდენტები გასული საუკუნის 40-იან წლებში საინტერესო სპორტული ცხოვრებით იყვნენ დაკავებულნი. ნება მომეცით, ამ წერილით მოვიგონო და პატივი მივაგო ჩემი თაობის ღვაწლმოსილ მედიკოსებს, რომელთა საფეხებზე წარსული არანაკლებ გამორჩეულია. ჩემი მოკრძალებული აზრით, მათი უკვე აღიარებული პროფესიული წარმატებები და დამსახურებანი სპორტული მოღვაწეობის პრიზმაში გატარების შემდეგ სრულიად ახალი წახნაგებით წარმოაჩენს მათი პორტრეტის ადამიანურ და მოქალაქეობრივ ასპექტებს.



1946 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ახლადშექმნილმა სტუდენტურმა საფეხბურთო გუნდმა თბილისის პირველობა მოიპოვა – ჩემპიონი გახდა. გუნდის მწვრთნელი – თბილისის მაშინდელი სამხედრო გუნდის ნახევარმცველი **ილია ლობჯანიძე** (შემდგომში – ქუთაისის "ტორპედოს" და ოდესის "ჩერნომორციის" მთავარი მწვრთნელი), უჭკვინესი პიროვნება და ბრწყინვალე მასწავლებელი, განათლებით ინჟინერი ბრძანდებოდა. გუნდის შემადგენლობაში შედიოდა: **ცუგო ამაშუკელი** – მეკარე, **ვასტანგ დოლიძე** – მარჯვენა მცველი (შემდგომში – ახალქალაქის რაიონის ექიმი, ისინი პოლიკლინიკის მთავარ ექიმი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი), **თემო მეტრეველი** – ცენტრალური მცველი, ვეტერინარიის ინსტიტუტის სტუდენტი, (შემდგომში – დამსახურებული ინჟინერი), **უბანგი რუხაძე** – მარცხენა მცველი (შემდგომში – დამსახურებული თერაპევტი, რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმი), **მიშა არჯვანიძე** – მარჯვენა ნახევარმცველი (შემდგომში – კურორტოლოგი, გაგრის სანატორიუმის მთავარი ექიმი), **დავით ყიფიანი** (მამა) – მარცხენა ნახევარმცველი (ყალბ-ყურ-ცხვირის ცნობილი სპეციალისტი), **ჭაბუკი ფურცხვანიძე** – მარჯვენა თავდასხმელი (შემდგომში – პულმონოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტუმბოკულოზის ინსტიტუტის განყოფილების გამგე და რესპუბლიკის მთავარი სპეციალისტი, დიავნოზიკის უბაღლო ოსტატი და წარმატებული მკურნალი, "შრომის ნითელი დროშის ორდენოსანი"), **ვალოდია ბალასანიანი** – მარჯვენა შუამარბი, თავდასხმელი, კოლექტორი თამაშის და ფინტის ბრწყინვალე შემსრულებელი (თელავის რაიონის მთავარი ნევროპათოლოგი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი), თემო გუგუნიანი – ცენტრალური თავდასხმელი, მან რამდენიმე წელი ითამაშა თბილისის "სპარტაკში" (ოტორინოლარინგოლოგი, თბილისის პირველი საავადმყოფოს განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი), **ავთანდილ მაჭავარიანი** – მარცხენა შუამარბი, თავდასხმელი, უძლიერესი დარტყმის მქონე ფეხბურთელი (შემდგომში – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგის კათედრის გამგე), **გუგუ მენაბდე** – მარცხენა თავდასხმელი, შესანიშნავი ტექნიკის მფლობელი, დაუზარელი და შრომისმოყვარე ფეხბურთელი: (შემდგომში – ქ. რუსთავის სასამართლო ექსპერტის სამმართველოს უფროსი, რუსთავის საპატიო მოქალაქე). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სათადარიგო ფეხბურთელები ხშირად თამაშობდნენ ძირითად შემადგენლობაში; მათ შორის გამორჩეულდნენ: **მერაბ გამყრელიძე** ("ჩიკლიკა") – უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, თამაშობდა თბილისის "ლოკომოტივსა" და "სპარტაკში", ბოლოს კი დიდი სავაჭრო ცენტრის დირექტორი იყო, **კონსტანტინე მაღიჩი** – მეკარე (შემდგომში – ონკოლოგი, მამოლოგიის დამფუძნებელი საქართველო-

ში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ონკოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, უბრწყინვალესი ქირურგი, სპორტის ოსტატი; იგი თამაშობდა, აგრეთვე, თბილისის კალათბურთელთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში), **რევი ჩიქოვანი** – ნახევარმცველი (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ონკოლოგიის ინსტიტუტის მთავარი ექიმი), **ავთანდილ ჭუმბურიძე** – მეკარე (რენტგენოლოგი, რამდენიმე წელი იმუშავა აფრიკაში, იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რენტგენოლოგიის განყოფილების გამგე), **ოთარ მიქაბერიძე** („მიკიჩა“) – ცენტრალური მცველი, მაღალი ბურთების უზადლო ოსტატი (შემდგომში – გარდაბნის რაიონის მთავარი ექიმი, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მთავარი ექიმი და ამავე რაიონში გინეკოლოგიური დამსახურების შემქმნელი, საოცარი იუმორის მქონე, სიკეთით სავსე პიროვნება), **ბიძინა ცქიტიშვილი** – მარცხენა თავდასხმელი, ენერგიული, დაულაღვი სპორტსმენი, ბევრი გოლის ავტორი (შემდგომში – თბილისის სააფთაქო სამმართველოს უფროსი, თბილისის საუკეთესო №3 აფთაქის გამგე, ავღაბრის რაიონის საპატიო მოქალაქე, რესპუბლიკის დამსახურებული ფარმაცევტი; ჩვენთან თამაშობდა, ასევე, **რეზო** („რებეცა“) **დოლიძე**, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, ნახევარმცველი, უაღრესად მაღალტექნიკური და საფეხბურთო კომბინაციების დიდოსტატი. შემდგომ იგი ხელმძღვანელობდა გეოლოგიურ პარტიებს, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დიპლომი და დამსახურებული გეოლოგის წოდება.

ასევე, არ შემოიღია სიყვარულით არ გაიხსენო გუნდის შემადგენლობიდან: **სამუელ (ბაჭუ) შანიძე**, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში, თამაშობდა მცველის პოზიციაზე; უაღრესად გულისხმიერი, მოსიყვარულე, გონიერი პიროვნება, შემდგომში – წარმატებული ვენეროლოგი, კანისა და ვენერიულ სნულელებათა დისპანსერის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი; ასევე, პირველი თაობის ფეხბურთელი **გოგი მიქაძე** („ბუთხუზა“) – მაღალტექნიკური თავდასხმელი უძლიერესი დარტყმით, შესანიშნავი მეანი და ძლიერი ქირურგი-გინეკოლოგი, ჩაჩავას ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის მე-3 სამშობიარო სახლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი; პატივისცემით ვიხსენებ, ასევე, დამსახურებულ სპორტულ ჟურნალისტს, **ბიჭია ქორქიას**, რომელ რადიო ქორქიას ვაჟს, მნიშვნელოვან გავლენას აქტიურად აშუქებდა სამედიცინო ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის თამაშებს; დაუფინანსებია **თემო შალიბაშვილი** („ციციანა“) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან, რომელიც ხშირად თამაშობდა ჩვენთან, დაცვაში; შემდეგ კი სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს განყოფილების გამგე გახდა.

აღსანიშნავია, რომ ამ თაობის ფეხბურთელების წასვლის შემდეგ ჩვენს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ახალი სტუდენტური გუნდი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა თბილისის პირველობაზე.

1952 წლის 1 სექტემბერს, საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებულმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ, თორნიკე კერძაიამ, გაგვაცნო სსრკ-ის ჯანდაცვის სამინისტროს წერილი: გვთავაზობდნენ მონაწილეობა მიგველო საზოგადოება „მედიკოსი“ მეორე საკვირეო საფეხბურთო ტურნირში, რომელიც 10-დან 20 სექტემბრამდე ტარდებოდა ქალაქ პიატიგორსკში. ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა (რექტორმა), პროფესორმა **კონსტანტინე ერისთავმა** და პროფკავშირის კომიტეტმა დიდი საორგანიზაციო მუშაობა გასწიეს ამ საქმის მოსაგვარებლად (მათ შორის, ფინანსური თვალსაზრისით) და 13-კაციანი გუნდი (11 სტუდენტი, ერთი ექიმი და ერთი მოთამაშე მწვრთნელი – მიხო ჭელიძე) 8 სექტემბერს, დღის 6 საათზე, ლია ავტობუსით გავემგზავრეთ პიატიგორსკში, სადაც, იმავე საღამოს ჩასულხვამ, მოგვთავსეს ერთ-ერთ საუკეთესო სანატორიუმში, სრული სერვისით. ჩვენ გარდა, ტურნირში, პიატიგორსკის სახელით, მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიის კურორტების ნაკრები გუნდი, ასევე, ქ. მოსკოვის ოლქის მედიკოსთა ნინა ტურნირის ჩემპიონი და ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის და ბაქოს მედიკოსთა გუნდები და სამხრეთ რუსეთის ჩემპიონი – როსტოვის გუნდი.

ჩვენი გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: **მირიან მიშველიძე** – მარჯვენა მცველი, **გოდერძი ბაქრაძე** – ცენტრალური მცველი, **გურამ ბეჟია** – გუნდის კაპიტანი, **გია ზიმილიცი** – მარცხენა მცველი, **მიხო ჭელიძე** – მარჯვენა ნახევარმცველი, **გურამ მარგველაშვილი** – მარჯვენა განაპირა თავდასხმელი, **რეზო ჩილაჩავა** – მარჯვენა ნახევართავდასხმელი (ინსაიდი), **მამია სიხარულიძე** – ცენტრალური თავდასხმელი, **ზურაბ ცხაკაია** – მარცხენა (ინსაიდი) ნახევართავდასხმელი, **ზურა სიმონია** – მარცხენა განაპირა თავდასხმელი; სათადარიგოში კი თავდასხმელი, **შოთა ვაშაძე** და ნახევარმცველი, **ჯონდო ძნელაძე**.

კენჭისყრის მიხედვით, პირველი თამაში 10 სექტემბერს მოსკოვის ოლქის ნაკრებთან ვითამაშეთ. თამაშის პროცესში გამოჩნდა მიხო ჭელიძის გონიერება, ნოვაცია და რისკი გუნდის შემადგენლობაში ფეხბურთელების ადგილმდებარეობის შეცვლის თვალსაზრისით, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. მართლაც, ათიოდე წუთის შემდეგ, სიხარულიძე-ჩილაჩავას კომბინაციით, ულამაზესი და უძლიერესი დარტყმით, გურამ მარგველაშვილმა გაიტანა გოლი. თამაში ჩვენი უპირატესობით წარიმართა და 6:2 მოვიგეთ. ასევე, მოვუგეთ აზერბაიჯანის გუნდს, ანგარიშით – 6:0, შემდეგ – ხარკოვს, 4:1, კიევის – 3:1, როსტოვთან ანგარიში იყო 4:4 და, მიუხედავად მსაჯულის მცდელო-

ბისა, არ ნავაგეთ პიატიგორსკთან – 1:1.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ თამაში გვეკონდა ლენინგრადის ძლიერ გუნდთან. სტადიონი პიატიგორსკელებით გაივსო – ხუთი ათასამდე მაყურებელი გულშემატყვივრობდა ლენინგრადელებს, რადგანაც, მოგების შემთხვევაში, ჩვენ ჩემპიონები ვხდებოდით. პირველი ტაიმი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა, ანგარიშით – 2:1; თამაში ჩვენი უპირატესობით მიდიოდა, თუმცა, უკანასკნელ წუთებში მსაჯმა ჩვენს კარში გაურკვეველი პენალტი დანიშნა და ანგარიში გახდა 2:2. ჩვენ მეორე ადგილზე გავვით. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს თქვენი მონა-მორჩილი **გურამ ბეჟია**, საუკეთესო მეკარედ – **მირიან მიშველიძე**, საუკეთესო თავდასხმელად – **რეზო ჩილაჩავა**, რომელმაც ყველაზე მეტი – 11 გოლი გაიტანა. ჩვენ კი, თბილისში დაბრუნებულხვამ, სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებით, ორი თვის სტიპენდიით დაგვაჯილდოვეს.

აღსანიშნავია, რომ პიატიგორსკის ტურნირის მონაწილე ყველა სპორტსმენმა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, დიდ წარმატებებს მიაღწია პროფესიულ კარიერაში, მათ შორის აღსანიშნავია, **მირიან მიშველიძე** – ცნობილი თერაპევტი, გაგრის სანატორიუმის მთავარი ექიმი (დაიღუპა აფხაზეთის ომში), **გოდერძი ბაქრაძე** – ქუთაისის სამედიცინო სასამართლო ექსპერტის სამმართველოს უფროსი; **გურამ ბეჟია** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ბერიტაშვილის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის განყოფილების გამგე, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, უზბეკეთის ფიზიოლოგთა საზოგადოებების და ჩეხეთის პურკინის საზოგადოების პრეზიდენტი, თბილისის საპატიო მოქალაქე; **გია ზიმილიცი** – ცნობილი ტრავმატოლოგი, ტრავმატოლოგიის ინსტიტუტის მთავარი ექიმი, ოთარ ლუდუშაურის ლორსელი მონაწილე, **მიხო ჭელიძე** – რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, მოსწავლე და ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდების მწვრთნელი, რომლებმაც არაერთი პრიზი დაიმსახურეს საერთაშორისო ასპარეზობებზე, **ოთარ ბიკაძე** – ცნობილი ფარმაცევტი, აჭარის საავთიავო სამმართველოს უფროსი, **გურამ მარგველაშვილი** – ცნობილი უროლოგი, თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, **რეზო ჩილაჩავა** – ფართო პროფილის თერაპევტი, კურორტ წყალტუბოს სამკურნალო სანატორიუმის ორგანიზატორი და დირექტორი, დამსახურებული ექიმი, მეოთხე სამმართველოს განყოფილების უფროსი, **მამია სიხარულიძე** – სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი, აფხაზეთის სამხედრო სანატორიუმების სამმართველოს უფროსი; **ზურაბ ცხაკაია** – გამორჩეული ქირურგი, ლვიძისა და ნაღლის ბუშტის ნოვატორული ქირურგიის შემქმნელი, საჭმლის მომნელებელი სისტემის და ნატივი ქირურგიული ოპერაციების უბადლო შემსრულებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი საერთაშორისო ასოციაციის და სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო წევრი და დოქტორი (გამორჩეული ქართველი კარდიოლოგის, სამედიცინო თერაპიის არაერთი დარგის შესანიშნავი

დიავნოსტიკოსის და მკურნალის, სიკეთით და გულისხმიერებით ცნობილი ქალბატონის, გულიკო ჩაიხიძის მეუღლე), **ზურაბ სიმონია** – ცნობილი ქირურგი, კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, **შოთა ლუბაჩავა** – ცნობილი თერაპევტი, რუსთავის მთავარი ექიმი, **ჯონდო ძნელაძე** – გამორჩეული ანესთეზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

1963 წელს თბილისში, მედიკოსების ქუჩაზე მდებარე სამედიცინო ინსტიტუტის ადმინისტრაციის მაშინდელ კორპუსში **დათო ყიფიანის** (მამა) და **ვალოდია ბალასანიანის** ინიციატივით, მოეწყო სამედიცინო ინსტიტუტის ძველი თაობის ფეხბურთელთა შეხვედრა, მწვრთნელ **ილია ლობჯანიძისა** და გუნდის მუდმივი წარმომადგენლის, **სამუელ (ბაჭუ) შანიძის** მონაწილეობით. საღამოს შეხვედრამ სასტუმრო „საქართველოში“ გადინაცვლა და განსაკუთრებული ემოციების ფონზე წარიმართა. დროთა განმავლობაში ამგვარმა შეხვედრებმა ტრადიციული ხასიათი მიიღო და ყოველწლიურად იმართებოდა. 1980 წლის შემდეგ კი, ყველანი ჩემთან, შინ ვიყრიდით თავს, სადაც სუფრას ამშვენებდა ჩემი მეუღლის, შესანიშნავი დიასახლისის, გულიკო ბეჟიას (ჟორდანას ინსტიტუტის პედაგოგი, რეპროდუქტოლოგი) მიერ გაშლილი გულუხვი და ლამაზი სუფრა; მას ხშირად გვერდით ედგა დედაჩემი, პროფესორი ნინო ბეჟურიშვილი, შემდეგ წლებში კი – ჩემი ქალიშვილი, მედიცინის დოქტორი თამარ ბეჟია. ამ შესანიშნავ ტრადიციას ჩვენი მეგობრების შვილები აგრძელებენ – გურამ მარგველაშვილი და გია შანიძე სიყვარულით სიხენებენ მამათა თაობის წარმომადგენლებს, თავიანთ სასახლო მშობლებს. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრებზე მუდამ ჩვენთან იყო და ჩვენს სიხარულს იზიარებდა ქართული სპორტის დიდი პოპულარული მედიცინის შესანიშნავი სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი **რომანო (რომიკო) სვანიშვილი**. ბატონ რომიკოს 800-ზე მეტი სტატია აქვს გამოქვეყნებული რესპუბლიკურ თუ საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს სწავლული მდივანი გახლდათ, იყო საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გონიერი და გულისხმიერი პიროვნება.

...ამჟამად კი, მხოლოდ მე, ყოველი თებერვლის ბოლო შაბათს, ქეცა ღვინით პატივს მივავებ და უდიდესი სიყვარულით ვიხსენებ ჩემთვის ძვირფას ადამიანებს...

ამ წერილით, ძვირფასო მეგობრებო, ვეცადე, კიდევ ერთხელ სიყვარულით გამეხსენებინა და პატივი მიმეგო გამორჩეული ადამიანებისათვის, რომლებმაც სპორტული მიღწევებით ასახელეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (ადრე – ინსტიტუტი), როგორც მედიცინის სხვადასხვა სფეროს მსახურებმა კი – მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში ფუნდამენტური და კლინიკური მედიცინის განვითარებასა და წინსვლაში.

დაბოლოს, მინდა მივმართო ჩემს ძველ მეგობრებს: უკვალოდ არაფერი ქრება! სამუდამოდ რჩება მოგონებები და მოსაზრებელი ადამიანთა სახეები. და სანამ ეს ასეა, ვართ ჩვენც. მსურს ამის დასტურად მიიღოთ ეს მცირე ჩანახატი...

ნათელში იყოს ამ დიდებულ ადამიანთა სულები!

ზურაბ ბაქაია, საპარტოველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი

პედაგოგები

პირველი ქართველი ფსიქოფიზიოლოგი

ბარბარე ყიფიანი – პირველი ქართველი ფსიქოფიზიოლოგი, აღიარებული და თვალსაჩინო მეცნიერი გახლდათ გასული საუკუნის ევროპის სამეცნიერო საზოგადოებასა და სამედიცინო წრეებში.

დაიბადა 1879 წელს ქუთაისში, ცნობილი ქართველი იურისტის, პუბლიცისტის, ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის, ვაჟის – ნიკოლოზ (ნიკო) ყიფიანის ოჯახში; დედა – ანასტასია ერისთავი – ქეთევან წამებულის პირდაპირი შთამომავალი გახლდათ.



ბარბარე (ვარა) თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, რამდენიმე წელი წმინდა მარიამის სასწავლებლის პედაგოგად მუშაობდა ხონში, 1901 წელს კი სწავლის გასაგრძელებლად ბელგიაში გაემგზავრა და მალევე ბრიუსელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ეს ფაქტი ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ საგანგებოდ აუწყა მკითხველს: „შვილისშვილები დ. ყიფიანისა: ბარბარე და ნინო, შესულან ბრიუსელის უნივერსიტეტში, ერთი საექიმო და მეორე – იურიდიულ ფაკულტეტზე“. გონიერი გოგონა სწავლაში გამორჩეულ და მეტად ეროვნულ სტუდენტად ითვლებოდა. 1904 წელს ბრიუსელში, ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, ორი უნიჭიერესი ქართველის – ბარბარე ყიფიანისა და პროფესორი ივანე თარხნიშვილის (მოსკოვის უნივერსიტეტიდან) მიერ, წარმოდგენილმა მოხსენებებმა კონგრესის მონაწილე მეცნიერთა ყურადღება და მოწონება დაიმსახურა.

ბარბარე ყიფიანის მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის პროფესორ იოტეკოს, პოლანელ ქალბატონს, რომელმაც იგი თავის ლაბორატორიაში დაასაქმა და შესაძლებლობა მისცა, სწავლის დასასრულებლად ფინანსები გამოემუშაებინა.

ბარბარე პირველი ქართველი ფსიქოფიზიოლოგი გახლდათ, რომელიც იკვლევდა ადამიანის ფსიქიკურ პროცესებს და ფიზიოლოგიურ საფუძვლებს, ასევე, – ადამიანის მესხიერების სახეობათა განსაზღვრის ხერხებს, აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, ამბიდექსტრიას მოსწავლეთა შორის, უსინათლოთა ფსიქოლოგიას. მისმა ნაშრომებმა ბავშვთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებზე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და სისტემატურად ქვეყნებოდა ევროპულ პრესაში, არანაკლებ აღიარებულ მის სამეცნიერო სტატიებთან, ბროშურებთან თუ მონოგრაფიებთან ერთად, რომლებსაც ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე ქმნიდა. ბ. ყიფიანი საინტერესო შრომებისა თუ კვლევებისთვის, არაერთი სიგელით, ოქროსა და ვერცხლის მედლით იყო დაჯილდოებული; გახდა რამდენიმე სამეცნიერო პრემიის ლაურეატიც; ქართველი მეცნიერით ინტერესდებოდა და საგანგებოდ წერდა ევროპული პრესა.

გარდა ბრიუსელის უნივერსიტეტისა, ბარბარე ყიფიანი 1908 წლიდან, სისტემატურად ლექციებს კითხულობდა პარიზის, ლიეჟისა და ჟენევის უნივერსიტეტებში. სხვადასხვა ენაზე იბეჭდებოდა მისი ნაშრომები; 1908 წელს ბრიუსელის უნივერსიტეტის ჟურნალ – „Raviu Psychologique“-ის სწავლული მდივანი გახდა. სპეციალურ ფსიქოფიზიოლოგიური დისციპლინებთან ერთად, მას ბრიუსელის უნივერსიტეტში ქართული და რუსული სიტყვიერების კურსიც მიჰყავდა. დიდი ეროვნული მუხტის მქონე ქალბატონი ზრუნავდა ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვისაც, სურდა, ევრო-



პისთვის გაეცნო ქართველი ერის მიღწევაში მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში. 1910 წელს, მისი ინიციატივით, ბრიუსელის საერთაშორისო მუზეუმში მსოფლიო ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ქართული სექცია დაარსდა; მისი დამსახურებით, ევროპაში არაერთმა ქართველმა ახალგაზრდამ შეძლო განათლების მიღება. დიდი წინაპრების ღირსეული მემკვიდრე, გარკვეული პერიოდის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა, სადაც, საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. ერთხანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წიგნსაცავის გამგის, აკაკი შანიძის, თანამშემეც კი გახლდათ. ამასთანავე, ფრანგულ ენას ასწავლიდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო და ქალთა მეზუთე გიმნაზიებში, ასევე, იუნკერთა სამხედრო სასწავლებელში; 1921 წელს კი, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირების შემდეგ, ახალი ხელისუფლებისგან უკიდურესად შევიწროებული ბარბარე ყიფიანი, იძულებული გახდა ისევ ევროპაში დაბრუნებულიყო, სადაც გაფანტული ქართული ხელოვნების ნიმუშების შეგროვებით დაინტერესდა და ყოველწლიურად ცდილობდა, ხელი შეეწყო ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის.

1940 წელს, ბარბარე ყიფიანმა, როგორც სალომე დადიანისა და მიურატების ქონების მეურვემ, მიუნხენიდან გამოიძახა მიხეილ თარხნიშვილი – ქართველოლოგი, ქართული დამწერლობისა და კულტურის მკვლევარი და შესთავაზა, ნაანდერძევი სახსრებით დაეარსებინა რომის კათოლიკური მონასტერი, ქართული კულტურის ძეგლების შესანარჩუნებლად. მიხეილ თარხნიშვილს მიუღია ეს წინადადება, შეუძენია სამონასტრო შენობა და ბარბარე ყიფიანისგან მიღებული ნივთები და დოკუმენტები იქ დაუბინავებია. მასვე ამავე მონასტერში გადმოუტანია კონსტანტინეპოლის ქართული კათოლიკური მონასტრისგან ნამოღებული უნიკალური მასალები, დაუარსებია ქართული არქივი, ქართული კათოლიკური სასულიერო სემინარია და თვითონ დამდგარა რექტორად.

თბილისში, ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში, დაცულია ბარბარე ყიფიანისა და მისი ძის, თავის დროზე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, ჟენევის 1904 წლის ინტერპარტიული ყრილობის ერთ-ერთი ორგანიზატორისა და მომხსენებლის, ნინო (ნუცა) ყიფიანის (1877-1921) პირადი საარქივო ფონდი, რომელიც შეიცავს უაღრესად საინტერესო მასალას მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

გავრცელებული ვერსიით, ბარბარე ყიფიანი 1965 წელს გარდაიცვალა ბრიუსელში და იქვე დაკრძალეს, თუმცა, არსებობს სხვა ვერსიაც – ემიგრაციაში მცხოვრები მეცნიერის, თამარ პაპავას (1888 -1976), მიხედვით, ბარბარე გარდაიცვალა მონაკოში და იქვეა დაკრძალული (თ.პაპავა, „გაბნეული საფლავები“; თბილისი, 1990, გვ.109).

ბარბარე ყიფიანის, როგორც პირველი ქართველი ფსიქოფიზიოლოგის – ექიმის, მეცნიერის, მრავალი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორის, წვლილი მედიცინის მეცნიერებათა განვითარებაში უმნიშვნელოვანესია და კიდევ ერთი დასტურია ქართული გენის სიძლიერისა და არაერთი სიკეთის ქმნის უნარისა.

დარეჟან კომლაძე



ახალი გაბარებები

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები სტუდენტური ცხოვრებისთვის ზრუნავენ.

13 ოქტომბერს, სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, გაიმართა ტურნირები: შაშუი, ნარდსა და ჭადრაკში, სადაც სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი უნარები წარმოეჩინათ. დაძაბულ ორთაბრძოლებში საუკეთესოები აღმოჩნდნენ: მამუკა სიდამონიძე (შაშუი); ქეთა ქლიბაძე (ნარდი); ირაკლი კახაძე (ჭადრაკი);



თამარ სოფრასაძე, ქეთა ქლიბაძე, ლიკა რიქვიანი

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სპორტის დეპარტამენტი სტუდენტებს 40-მდე სხვადასხვა სახეობაში სთავაზობს ტურნირებს, სადაც საუკეთესო შედეგების მქონეთ, საშუალება აქვთ თსუ-ის სახელით მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტებს შორის გამართულ შეჯიბრებებში.



ლიკა კარტიველიძე, თემან გავრონიანი, მამუკა სიდამონიძე, ალექსი შურაია და მარიამ სოსოროვილი

თსუ-ის სტუდენტებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ინტელექტუალური თამაშები. 15 ოქტომბერს, განათლების დეპარტამენტის ორგანიზებით, ყველასთვის საყვარელი „CITY GAME“ გაიმართა. სტრატეგიული ბრძოლა, სისხარტე და ფიზიკური მდგრადობა გადამწყვეტი აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. პირველობა ამ დაპირისპირებაში ბექა გურულმა და ირაკლი ჩარკვიანმა მოიპოვეს.



გიორგი საგაშვილი, ირაკლი კახაძე და ალექსანდრე ჯღაზაძე

სასწავლო წლის განმავლობაში განათლების დეპარტამენტი, ინტელექტუალურ თამაშებთან ერთად, სტუდენტებს სთავაზობს შემეცნებით ვიქტორინებსა და საჯარო ლექციებს აქტუალურ სამედიცინო საკითხებზე.



ლიკა ავაგანიძე, ირაკლი ჩარკვიანი, ბექა გურული და სანა კვინიკაძე

ენო ჟილაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომატიური მედიცინის ქართულენოვანი პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტი



ანა ოძირაშვილი

ჰილავ ერთი წარმატება

თსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლი (ხელმძღვანელი, კულტურის ცენტრის დირექტორი – ბადრი მაჭავარიანი, მთავარი ქორეოგრაფი – დავით უგრეხელიძე, ქორეოგრაფი – ინეზა კუპრეიშვილი, მაცხრო – დავით რატანი) აგვისტოში საგასტროლო ტურნეით იმყოფებოდა ევროპაში და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უნიკალური ქართული ფოლკლორული შედევრების საუკეთესო შესრულებით აღაფრთოვანა უცხოელი მაყურებელი. გავსაუბრეთ ანსამბლის ხელმძღვანელს, კულტურის ცენტრის დირექტორს, ბატონ ბადრი მაჭავარიანს:



– ბატონო ბადრი, ტრადიციულად, ანსამბლს ხშირად იწვევენ იუნესკოს ეგიდით გამართულ საერთაშორისო ფესტივალებზე. ამჯერადაც ასე იყო?

– დიახ, შარშან ჩვენთა და ჩინეთში (სადაც აღინიშნა ანსამბლის დაარსებიდან 40 წლის იუბილე) წარმატებების შემდეგ, იუნესკოს კომიტეტების გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, ანსამბლი მიწვეული იყო პორტუგალიისა და ესპანეთის მსოფლიო ფოლკლორულ ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად.

– გულშემატკივარი, შეიძლება ითქვას, განებრებულა ანსამბლის წარმატებებით უცხოეთში და, წელსაც, ბუნებრივია, დიდი იყო მოლოდინი...

– დიახ, ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ანსამბლის ხელმძღვანელობას და მის წევრებს ასეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფესტივალებზე. მით უფრო, რომ ამ ფესტივალში ჩვენმა ანსამბლმა ადრე, 12 წლის წინაც, მიიღო მონაწილეობა და საუკეთესო ანსამბლის ტიტული მოიპოვა. ამჯერად, მეორედ გავმართეთ კონცერტები უკვე ახალი თაობის მონაწილეობით და, ცხადია, დიდი იყო ჩვენ მიმართ ინტერესი...

– რომელი ქვეყნები მონაწილეობდნენ წელს აღნიშნულ ფესტივალებში და რომელს გამოარჩევდით მათგან?

– ფესტივალებში მონაწილეობას იღებდნენ ანსამბლები მდიდარი ფოლკლორული ტრადიციების მქონე ქვეყნებიდან: ჩრდილოეთ ირლანდია (ცეკვის

სამეფო აკადემია), ჩილეს და არგენტინის საბალეტო დასები, კანადა, ესპანეთი, პორტუგალია, თურქეთი, უკრაინა (ქ. ლუცკიდან), ტალიანდი, ფილიპინები და ადგილობრივი ფოკლორული ანსამბლები.

საკმაოდ ლამაზი და შთაბეჭედავი იყო ირლანდიელების „რივი დანსი“, ასევე, ჩილეს, არგენტინის, ესპანეთისა და უკრაინის ანსამბლების გამოსვლა.

– რით იყო გამორჩეული და დასამახსოვრებელი წლები საზაფხულო საგასტროლო ტურნე?

– უპირველესად, ფესტივალისადმი მაყურებლის განსაკუთრებული ინტერესით და ჩვენი წარმატებითაც, რადგან, მართლაც, ყოველი ტურნე განსხვავებული და გამორჩეული ამ თვალსაზრისით. ფესტივალის დახურვის დღეს, ბოლო კონცერტს 12 000 მაყურებელი დაესწრო და პირდაპირი ეთერით გადაცემოდა მთელი ევროპის მასშტაბით; ფესტივალი სრულად გაშუქდა პორტუგალიისა და ესპანეთის ტელევიზიების და პრესის საშუალებებით.

დიდი კონკურენციის მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანსამბლმა არაჩვეულებრივად გაართვა თავი ამ გამოწვევას და პუბლიკის დიდი სიმპათიები დაიმსახურა. იყო შემთხვევები, როდესაც მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს და ისეთი საცეკვაო ნომრების გამოვლენას ითხოვდა, როგორცაა გოგონათა მიერ შესრულებული „ნარნარი“ და „სამაია“, რომ არაფერი ვთქვათ „ხევისურულსა“ და „მთიულურზე“...

აღსანიშნავია ჩვენი მუსიკალური ჯგუფის მიერ (ბარბარე კონჯარია, ალექსანდრე ნიკლაური, მალხაზ თოლორდავა, ლაშა დულაშვილი, ნიკა ბექაური (ხელმძღვანელი – ლევან უჩანეიშვილი), ცეკვის დროს, ხალხური საკრავებით შესრულებული ქართული ხალხური მელოდიები და სიმღერები, რამაც, უდავოდ, გაამდიდრა ანსამბლის პროგრამა და მსმენელის მოწონება დაიმსახურა. სასიამოვნო და დასამახსოვრებელი იყო დელეგაციების გულთბილი მიღება პორტუგალიისა და ესპანეთის ქალაქების: მონსასოსა და ოურენსეს მერების მიერ.

– ანსამბლის წევრებს, ალბათ, წელსაც მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ აღნიშნული ქვეყნების ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს...

– ტრადიციულად, როცა საგასტროლო მოგზაურობაში ვიმყოფებით ევროპის ქვეყნების გავლით, ყოველთვის ვცდილობ ახალგაზრდებს დავათვალიერებინო ამ ქვეყნების ღირსშესანიშნაობები; მაგალითად, თუ შარშან რომი, ვენეცია და პრაღა მოვიწახსულეთ, წელს დავისვენეთ საბერძნეთის ქალაქ იგუმენიცაში, იოანიის ზღვის სანაპიროზე... იტალიაში, ქალაქ ბარში, წმინდა ნიკოლოზის ტაძარი მოვილოცეთ და, საბედნიეროდ, ტაძარში მისულელები, სრულიად შემთხვევით, დავესწარი ქართული სამრე-

ვლოს წირვას, რომელსაც უძღვებოდა არქიმანდრიტი მამა მოსე (ჭანკვეტაძე)... ემოციური იყო არქიმანდრიტისგან დალოცვა, ბარში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრა, ჩვენი გუნდის გალობის მოსმენისას ცრემლებს რომ ვერ იკავებდნენ... ბოლოს სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ... შემდეგ გავემგზავრეთ საფრანგეთის მიმართულებით და სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დავალიერებიანათ: მონაკო, მონტე-კარლო, ბარსელონა, მადრიდი და მივადექით ევროპის დასავლეთით არსებულ ბოლო სახმელეთო ნერტილს – შევისვენეთ ატლანტის ოკეანესთან პატარა პორტუგალიურ ქალაქ Vila Praia de Ankor-სთან, რის შემდეგაც ჩავედით ფესტივალზე.

მინდა მადლობა გადავუხადო ადამიანებს, ვინც, ამ ხანგრძლივ და რთულ გზაზე, მძღოლის საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებდნენ – თეიმურაზ შველიძეს და გია ბლუაშვილს – მაღალპროფესიულ დონეზე მომსახურებისა და განსაკუთრებული გულშემატკივრობისთვის... სასიხარულოა, რომ ჩვენმა კონცერტებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა იუნესკოს კომიტეტების მიერ და უკვე ვიღებთ წინადადებებს როგორც ევროპიდან, ასევე, ჩინეთიდან და სამხრეთ კორეიდან ფესტივალებში მონაწი-



ლეობისთვის...

დაბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღნიშნო თსუ-ის რექტორის და კანცლერის, ბატონების: ირაკლი ნატროშვილის და ალექსანდრე ბუაჩიძის უდიდესი თანადგომის შესახებ ჩვენი ანსამბლის მიმართ. რომ არა მათი დიდი მხარდაჭერა სტუდენტებისადმი, საგასტროლო ტურნეების განხორციელებას ვერ შევძლებდით და, შესაბამისად, შეუძლებელი იქნებოდა ასეთი წარმატებებით ეამყა როგორც ანსამბლს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ისე ქართული კულტურის გულშემატკივრებს.

ესაუბრა ნატო ბოლქვაძე

„სამედიცინო გაზეთი“ ტოდაცია

ვება-უშავედას გამზიხი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 ხევაქსოიხი დედა მუკბანიანი
კოხესპონდენცები დახეჯან კომდაქ ტ.:558 17 08 47 ნაცო ბოქვაქაქ ტ.:555 28 28 97
ეც-უოსცა newspaper@tsmu.edu